KA030162411664720

№ 01-9423 **07 / სექტემბერი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და
სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოდგილის
თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 24 აპრილს ჯანმოს მიერ შეიქმნა COVID-19 ვაქცინის ხელმისაწვდომის დაჩქარების ინსტრუმენტი (ACT, Access to COVID-19 Tools) - ახალი გლობალური თანამშრომლობა, რომელიც ხელს შეუწყობს სადიაგნოსტიკო და თერაპიული საშუალებების და ვაქცინების შემუშავების, წარმოების და თანაბარი განაწილების პროცესს.

COVAX ფონდის შემადგენლობაში შედის იმუნიზაციისა და ვაქცინების გლობალური ალიანსი (GAVI), ეპიდემიებზე მზადყოფნის კოალიცია (CEPI), ბილ და მელინდა გეითსების ფონდი (BMGF), ახალი ინოვაციების დიაგნოსტიკის ფონდი (FIND), გლობალური ფონდი (GF), მსოფლიო ბანკი (WB), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), სხვა და სხვა პარტნიორი და დონორი ორგანიზაციები, ქვეყნების წარმომადგენლები და ვაქცინების მწარმოებელი კომპანიები.

კოვაქს ფონდის (COVAX Facility) მიზნებია:

- გლობალურად, ვაქცინის მწარმოებელი კანდიდატების აქტიურად მართული პორტფოლიოთა მხარდაჭერა;
- შეთანხმების ფარგლებში, რომელსაც გავი მწარმოებლებთან გააფორმებს ფონდის სახელით, ფონდს ექნება წვდომა კანდიდატი ვაქცინების დოზებზე;
- 2021 წლის ბოლომდე 2 მილიარდი დოზა ვაქცინის შესყიდვა, რაც ხელს შეუწყობს პანდემიის მწვავე ფაზის დასრულებას;
- COVID-19 ვაქცინის სამართლიანი და თანასწორი ხელმისაწვდომობის გარანტირება ყველა მონაწილესათვის.

COVID-19 ვაქცინის შემუშავება უპრეცედენტო სისწრაფით მიმდინარეობს - განვითარების ფაზაშია 300+ COVID ვაქცინა. კოვაქს ფონდის მიმდინარე პორტფოლიო შედგება 9 კანდიდატი ვაქცინისგან, რომელთაგან 7 კლინიკური გამოცდის ფაზაშია. კანდიდატ-ვაქცინებთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არსებული კლინიკური კვლევების მონაცემები შემდეგია: გაერთიანებული სამეფო (Oxford/AZ), ჩინეთი (CanSino), აშშ (Moderna და Pfizer/BioNTech1) და გერმანია (Pfizer/BioNTech2) ვაქცინის შექმნის I-II ფაზაში არიან და იყენებენ კვლევის სხვადასხვა მეთოდებს 18-55 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში. მხოლოდ CanSino (ჩინეთი) ატარებს კვლევას 18-83 წლის ასაკობრივ ჯგუფში. ყველა ვაქცინას ექნება ჯანმოს ავტორიზაცია ან პრეკვალიფიკაცია, ან დამტკიცებული იქნება შესაბამისი მკაცრი მარეგულირებელი ორგანოს მიერ.

პირველი 2 მილიარდი დოზისთვის (ყველა წინასწარი ხარჯის და წარმოების პროცესის ოპტიმიზაციის ნაკლებობის გათვალისწინებით) სავარაუდო (შესაძლოა შეიცვალოს პროცესებიდან გამომდინარე) საწყისი ფასებია:

- მაღალი შემოსავალი HIC: $25 – 40 დოზისთვის
- საშუალოზე მაღალი შემოსავალი UMIC: $10 – 16 დოზისთვის
- დაბალი და საშუალო L(M)ICs: $5 - 8 დოზისთვის.

საბოლოო ფასს (იქნება ის საერთო თუ რანჟირებული) ადგენს მწარმოებელი და ერთი დოზის ფასი განსხვავებული იქნება ვაქცინების და მწარმოებლების მიხედვით.

COVAX ფონდის მიერ შემოთავაზებულია ვაქცინის შესყიდვის ორ მოდელი:
1) სავალდებულო შესყიდვის მოდელი - Committed Purchase
მონაწილე იღებს ვალდებულებას შეისყიდოს ფონდის მიერ შეთავაზებული (დამტკიცებული და რეკომენდებული) ვაქცინის გარკვეული რაოდენობა. მტკიცე ვალდებულებების სანაცვლოდ, ამ მონაწილეებს

მოეთხოვებათ შედარებით დაბალი წინასწარ გადახდის უზრუნველყოფა (დოზის სავარაუდო მთლიანი ღირებულების 15% - 1.60 აშშ დოლარი/დოზა). მონაწილეს შეუძლია შესყიდვაზე უარის თქმა, მხოლოდ ფასის გამო - ამისათვის შეთანხმებაში უნდა დააფიქსიროს, რომ არ შეისყიდის ვაქცინას თუ სავარაუდო მთლიანი ღირებულება გაორმაგდება (გადაჭარბებს $21.10). ამან შესაძლოა გამოიწვიოს ვაქცინების მიღების შეფერხება, თუ სხვა ვაქცინა არ იქნება ხელმისაწვდომი ან თუ ძვირი ვაქცინა განსაკუთრებული მნიშვნელობის იქნება გარკვეული რისკჯგუფებისთვის.

აღნიშნული მოდელის ფარგლებში, თუ ქვეყანა გადაწყვეტს, ვაქცინის ორი დოზით აცრას საერთო მოსახლეობის 20% (740 000), ამ შემთხვევაში მას დასჭირდება შეისყიდოს 1,48 მლნ დოზა ვაქცინა. შესაბამისად, სავარაუდო მთლიანი ღირებულება ($10,55/დოზა) შეადგენს - 15. 614 მლნ აშშ დოლარს. წინასწარი 15% -იანი გადასახადი შეადგენს - 2,368 მლნ აშშ დოლარს.

2) არჩევითი შესყიდვის მოდელი - Optional Purchase
მონაწილეს შეუძლია უარი განაცხადოს ნებისმიერ შემოთავაზებულ ვაქცინაზე და შეინარჩუნოს მისთვის განკუთვნილი დოზების სრულად მიღების შესაძლებლობა, და აცნობიერებს, რომ კონკრეტულ ვაქცინაზე უარის თქმამ შესაძლოა გამოიწვიოს ვაქცინების მიღების გადავადება, განსაკუთრებით განაწილების პირველ ეტაპზე, როცა მხოლოდ 1 ან ორი ვაქცინა იქნება ხელმისაწვდომი და რაოდენობები შეზღუდული.

ვაქცინების მიღებაზე უარი შეიძლება ნებისმიერი მიზეზით. მონაწილესათვის მისაღები წარმატებული ვაქცინისთვის, მონაწილე მიიღებს წინასწარ გადახდის პროპორციულ რაოდენობას. თუ ქვეყანა არ შეიძენს შერჩეულ რაოდენობას სრულად ობიექტის გავლით, დარჩენილი წინასწარ გადახდილი თანხა უკან აღარ დაუბრუნდება. ქვეყანა იხდის წინასწარი რისკების გარანტიის თანხას - (0.40 აშშ დოლარი/დოზაზე). ქვეყანა წინასწარ იხდის არა 1,60 აშშ დოლარს, როგორც პირველი მოდელის შემთხვევაში, არამედ 3,10 აშშ დოლარს 1 დოზაზე. ვაქცინის სრული ღირებულება ($10,55/დოზა) - 16.204 მლნ აშშ დოლარი (რისკების გარანტიის თანხის გათვალისწინებით, 590 000 აშშ დოლარი). წინასწარი გადასახადი - 4,588 მლნ აშშ დოლარი.

31 აგვისტოს, სამინისტროს მხრიდან ხელი მოეწერა გავის მიერ მოწოდებულ სტანდარტულ წერილს ფონდში ჩართულობის თაობაზე, რომელიც ასევე ითვალისწინებს შესყიდვის მოდელის წინასწარ არჩევას. როგორც თქვენთვის ცნობილია, შერჩეულ იქნა მეორე, არჩევითი შესყიდვის მოდელი მისი მოქნილობის გამო. ხოლო მოსახლეობის მოცვის სავარაუდო მაჩვენებად შეირჩა 20%.

მომდევნო ეტაპზე, ფონდიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ქვეყანამ ხელი უნდა მოაწეროს ორმხრივი ვალდებულებების ხელშეკრულებას (Commitment Agreement) და წარადგინოს ფონდში 18 სექტემბრამდე. შეთანხმების დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ, 9 ოქტომბრისთვის ქვეყნები ვალდებულები არიან გადაიხადონ ვაქცინის ღირებულების ე.წ. წინასწარი შესატანი, რომელიც დამოკიდებული იქნება კონკრეტული მოდელის არჩევანზე.

ფონდის ინფორმაციით, ქვეყნებისთვის დაფინანსების წყარო შესაძლებელია იყოს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, რეგიონული და მრავალმხრივი განვითარების ბანკების და საკრედიტო ინსტრუმენტები, ასევე სხვა წყაროები.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას, მსოფლიო ბანკის პროექტების განმახორციელებელ ერთეულთან ერთად, განხილულ იქნეს ვაქცინის ღირებულების სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში დაფინანსების შესაძლებლობა.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია